ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6761239

ნომერი: AR1996629

თარიღი : 22.10.2023

გაცემის თარიღი : 15.11.2023

გაცნობის თარიღი : 15.11.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, N 40;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ჯინჭარაძე პ/ნ 01025001988
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 20 ბ. 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 09 ივნისის №6500594 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 22 ოქტომბერს №AR1996629 განცხადებით მომართა მიხეილ ჯინჭარაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 09

ივნისის №6500594 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 09 ივნისის №6500594 ბრძანებით №01.10.07.007.175 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (D-1; D-2 ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 09 ივნისიდან 2026 წლის 09 ივნისის ჩათვლით.
სამსახურის 2023 წლის 05 ივლისის №6545708 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 09 ივნისის №6500594 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნა სპორტული მოედნის ფართობი 3569.6 კვ.მ. ასევე, საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 19339.2 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 2128.4 კვ.მ., საერთო ფართობად 29517.3 კვ.მ. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდა სპორტული მოედნის ფართობი: 569.8 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2023 წლის 09 ივნისის №6500594 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 3400.4 კვ.მ-ის ნაცვლად 3466.1 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 189.6 კვ.მ-ის ნაცვლად 345.6 კვ.მის, ავტოსადგომის ფართობად 3362.6 კვ.მ-ის ნაცვლად 4578.3 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 29517.3 კვ.მ-ის ნაცვლად 30954.7 კვ.მ-ის დაფიქსირებას. განმცხადებელი, ასევე, ითხოვს სამსახურის 2023 წლის 09 ივნისის №6500594 ბრძანებიდან ამოღებულ იქნას ცალკე მდგომი სპორტული მოედნის ფართობი (კვ.მ).: 569.8 კვ.მ. გარდა აღნიშნულისა, განმცხადებელს, სურს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად ცალკე ფართობად დაფიქსირდეს D-1 და D-2 ბლოკებისთვის განკუთვნილ ღია ავტოსადგომების ფართობი 405.5 კვ.მ.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ წარმოდგენილი გეგმები და გენ-გეგმა არ იცვლება აღნიშნულ გეგმებზე და გენ-გეგმაზე ხდება მხოლოდ ფართობების დაზუსტება. ამასთან, დგინდება, რომ სამსახურის 2023 წლის 09 ივნისის №6500594 ბრძანებით შეთანხმებულ 0.00 ნიშნულის გეგმაზე და გენ-გეგმაზე მდებარეობს D-1; D-2 ბლოკებისთვის განკუთვნილი 28 ღია ავტოსადგომი საერთო ფართობით 405.5 კვ.მ.
სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 16 დეკემბრის №6253930 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2022 წლის 30 მაისის №5960194 ბრძანებაში (აღნიშნული ბრძანებით №01.10.07.007.175 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (E1; E-2 ბლოკების) არქიტექტურული პროექტი) და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდა სპორტული მოედნის ფართობი: 569.8 კვ.მ. ამასთან, აღნიშნული სპორტული მოედნის ფართობი, ასევე, დაფიქსირებულია 2023 წლის 09 ივნისის №6500594 ბრძანებაში (სამსახურის 2023 წლის 05 ივლისის №6545708 ბრძანება ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე). შესაბამისად, იმისათვის რომ არ მოხდეს სპორტული მოედნის ფართობის დუბლირება, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია სამსახურის 2023 წლის 09 ივნისის №6500594 ბრძანებიდან ამოღებულ იქნას სპორტული მოედნის ფართობი: 569.8 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 09 ივნისის №6500594 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 09 ივნისის №6500594 ბრძანებაში და:
1.1. ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდეს 30954.7 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 3466.1 კვ.მ., დამხმარე ფართობად 345.6 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 4578.3 კვ.მ., ამასთან, სამსახურის 2023 წლის 09 ივნისის №6500594 ბრძანებიდან ამოღებულ იქნას ცალკე მდგომი სპორტული მოედნის ფართობი 569.8 კვ.მ.
1.2. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად ცალკე ფართობად დაფიქსირდეს D-1 და D-2

ბლოკებისთვის განკუთვნილი ღია ავტოსადგომების ფართობი 405.5 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 09 ივნისის №6500594 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა სახურავის გეგმისა) და გენ-გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმებით და გენ-გეგმით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2023 წლის 09 ივნისის №6500594 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 09 ივნისის №6500594 და 2023 წლის 05 ივლისის №6545708 ბრძანებებთან ერთად.
5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.